ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

,,ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის ობიექტი:

ქ.თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ№8 -ს მიმდებარედ, ს/კ 01.17.11.026.125
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი

დამკვეთი:

შპს „მაზთა“

პროექტის ავტორი

დათო ომანაძე

ექსპერტი:

მაგდა მეშვილდიშვილი 

ექსპერტიზის თარიღი ან პერიოდი:
05.04.2023

ო ბ ი ლ ი ს ი

2023 წ.

05.04.2023 მაგდა მეშვილდიშვილი

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან, ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალების ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. სიტუაციური გეგმა;
5. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
6. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა (არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
7. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები (არქიტექტურული ნაწილი);
8. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები (არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
9. გზა-კიბის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
10. აივნის მოაჯირის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
11. გარე კედლების დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
12. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი).

05.04.2023 მაგდა მეშვილდიშვილი

დასკვნის სარჩევი:

საპროექტო ობიექტის მდებარეობის შეფასება ----------1
გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 2
შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 3
კონსტრუქციის ტიპის შეფასება---------- 4
ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასებ---------- 5
ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 6
ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება----------7
გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 8
მისაწვდომობის შეფასება----------9
შიგა გარემოს შეფასება ----------10
გარე კედლების შეფასება ----------11
სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება---------- 12
წყალსადენი სისტემების შეფასება---------- 13
ლიფტების შეფასება---------- 14

საპროექტო ობიექტის მდებარეობის შეფასება:

- საპროექტო ნაკვეთის მიმდებარე ნაკვეთზე განთავსებულია გაზგასამართი კომპლექსი მისი მომსახურე ობიექტებით: კომპრესორის ხმის დამხშობი შენობა-ნაგებობითა და ადმინისტრაციული შენობით.
- „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე
- ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების 309 ქვეთავის მიხედვით, ბენზინ და გაზგასამართი სადგურები მიეკუთვნება სავაჭრო (სვ) ჯგუფს.
- ამავე დადგენილების 307.1 ქვეთავის შესაბამისად, აალებადი და წვადი თხევადი ნივთიერებების საბითუმო და საცალო ვაჭრობის ადგილები და სათავსოები/საწყობები სავაჭრო დაკავებულობებში არ უნდა მივაკუთვნოთ დიდი საფრთხის შემცველი (დსშ) დაკავებულობის ჯგუფს.

05.04.2023 მაგდა მეშვილდიშვილი

- „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების 414.1.3.ქვეთავის მიხედვით, მშენებლობისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უსაფრთხო მანძილები ძირითად საწარმოო და ტექნოლოგიურ წერტილებსა და ხაზებამდე, ასევე ადმინისტრაციულ შენობამდე, ავარიული აფეთქების შემთხვევაში დამაზიანებელი (რადიაციული, კოროზიული, დეტონაციური, თერმული და სხვა სპეციალური სახის) ზემოქმედებისდაგან დაცვის მოწყობილობები და სისტემები, მათ შორის ადვილად ვარდნადი კონსტრუქციები, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები.
- გაზგასამართი კომპლექსის ტერიტორია სამეზობლო მიჯნების მხრიდან შემოსაზღვრულია 20 სისქისა და 2.5 მეტრი სიმაღლის რკინაბეტონის კედლით, რომელიც, მინიმუმ, 2 საათიან ცეცხლმედეგობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, შესრულებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის ბრძანება №1-1/2935 „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, შეკუმშული ბუნებრივი აირის მისაღები, მოსამზადებელი და შესანახი შენობა-ნაგებობების და დანადგარების მოედანს, აგრეთვე, გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის რეზერვუარების მოედანს უნდა ჰქონდეს გარეშე პირთათვის დახურული, არასაწვავი მასალისგან დამზადებული და განიავებადი დამოუკიდებელი შემოღობვა.
- ასევე, შესრულებულია მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის პირობა: გაზგასამართი კომპლექსის მთელ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია არანაკლებ 5 მ მანძილზე სახანძრო მანქანებისთვის განკუთვნილი მისასვლელებისა და სადგომების მოწყობა. მთავარი ბლოკი უზრუნველყოფილია ფხვნილოვანი ცეცხლმაქრით, ხოლო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სახანძრო ჰიდრანტი.
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის ბრძანება №1-1/2935 „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და დანართი 3-ის მიხედვით, მანძილი სადგურის მიწისზედა რეზერვუარებიდან და მარიგებელი სვეტებიდან უახლოეს საცხოვრებელ, საზოგადოებირვ და სავაჭრო შენობამდე უნდა იყოს არაუმცირეს 15 მეტრისა, თუკი შენობა სადგურის მიმართ ყრუ კედლითაა განთავსებული და არაუმცირეს 25 მეტრისა, თუკი შენობა ღიობებიანი კედლითაა სადგურის მიმართ განთავსებული.
- ამავე დანართის მიხედვით, მანძილი სადგურის მიწისქვეშა რეზერვუარებიდან და მარიგებელი სვეტებიდან უახლოეს საცხოვრებელ, საზოგადოებირვ და სავაჭრო შენობამდე უნდა იყოს არაუმცირეს 5 მეტრისა, თუკი შენობა სადგურის მიმართ ყრუ კედლითაა განთავსებული და არაუმცირეს 15 მეტრისა, თუკი შენობა ღიობებიანი კედლითაა სადგურის მიმართ განთავსებული.
- საპროექტო შენობის მდებარეობა აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. არსებული მდგომარეობით, უმცირესი მანძილი გაზგასამართი სადგურის მარიგებელი სვეტებიდან და რეზერვუარებიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრამდე შეადგენს 26 მეტრს, ხოლო საპროექტო შენობამდე - 27.5 მეტრს.

- რაც შეეხება არსებულ გაზგასამართ კომლექსს:
- „წესების“ 406.7 ქვეთავის მიხედვით, ავტოგასამართი ადგილის ზედაპირი უნდა იყოს ბეტონის ან სხვა ნებადართული საფარი მასალის, რომლის მედეგობა არ აღემატება 1 მეგომს, EN 1081-ის მეთოდოლოგიის მიხედვით. ჩარდახების (საწვავის გამანაწილებელი ადგილის გადახურვა) თავისუფალი სიმაღლე, რომლის ქვეშაც საწვავი ნაწილდება, ავტომობილების სამოძრაო არეალის ყველაზე დაბლა მდებარე შვერილ ელემენტამდე არ უნდა იყოს 4,1 მ-ზე ნაკლები. ჩარდახები და მათი საყრდენები, რომლებიც ტუმბოების თავზეა, უნდა იყოს არაწვადი მასალების: ცეცხლმედეგობისთვის დამუშავებული ხის მასალა, IV ტიპის ზომების ხის მასალა ან ერთსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კონსტრუქცია. ჩარდახზე ან ჩარდახში გამოყენებული წვადი მასალები უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთს:

1. ტუმბოებისგან დაცული უნდა იყოს ჩარდახის არაწვადი ელემენტებით ან IV ტიპის ზომების ხის მასალით;
2. 0,3 მმ სისქის ალუმინის საფარით ან კოროზიამედეგი ფოლადით დაფარული პლასტმასი, რომლის ძირითადი ლითონის მინიმალური სისქე 0,4 მმ-ია. პლასტმასის ალის გავრცელების ინდექსი უნდა იყოს 25 ან ნაკლები, კვამლის წარმოქმნის ინდექსი კი – 450 ან ნაკლები, ხოლო თვითაალების ტემპერატურა - 343°C ან მეტი.
3. შუქგამტარი პლასტმასის მასალებით აგებული პანელების გამოყენება დასაშვებია ავტოგასამართი სადგურების საწვავის გამანაწილებლების ზემოთ მდებარე ჩარდახებში, თუ პანელები განთავსებულია იმავე მიწის ნაკვეთზე მდებარე ნებისმიერი შენობიდან, სულ მცირე, 3 მ-ზე და სხვა მხარეებიდან, არანაკლებ, 12 მ სიგანის ეზოებს ან ქუჩებს ესაზღვრება. პლასტმასის საერთო ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 100 მ2-ს. თითოეული პანელის მაქსიმალური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 10 მ 2-ს.

- არსებული გაზგასამართი სადგურის გამანაწილებელი ჩარდახები აკმაყოფილებს ზემოთჩამოთვლილ პირობებს. იგი მოპირკეთებულია ალუმინის კომპოზიტური პანელებით, ხოლო ჩარდახების თავისუფალი სიმაღლე 4.6 მეტრს შეადგენს.
- რაც შეეხება კომპრესორის ხმის დამხშობ შენობა-ნაგებობას, კომპრესორული დანადგარი მოთავსებულია აფეთქებაუსაფრთხო კონტეინერში, შენობა ნაგებია ბეტონის ბლოკის წყობით, რომელიც მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობას უზრუნველყოფს, ხოლო ღიობები დაცულია ცეცხლმედეგი ლითონის ჟალუზებით, რითაც დაცულია 414.2.4 ქვეთავის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, გასაკონტროლებელი ფართობის იატაკის ანაწყობისა და გასაკონტროლებელი ფართობის იატაკის საყრდენი კონსტრუქციის ცეცხლმედეგობის ხარისხი, არანაკლებ, 2 საათი უნდა იყოს. თუმცა, ამავე ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით, ვინაიდან შენობა ერთსართულიანია, დასაშვებია, გარე კედლებს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი ქონდეს.
- ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საპროექტო შენობის მდებარეობა შესაბამისობაშია როგორც „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების მოთხოვნებთან, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის ბრძანება №1-1/2935 „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ დებულებებთან.

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- **შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.**

- **შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:**

- **საცხოვრებელი ჯგუფი სც- 2** (+3.10 - +22.30 ნიშნულებზე) - შეესაბამება 310.4 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება ორზე მეტი საცხოვრებელი ერთეული, სადაც დამკავებლები, უმთავრესად, მუდმივად ან ხანგრძლივად ცხოვრობენ. ეს ჯგუფი მოიცავს მრავალბინიან
- სახლებს/შენობებს.

05.04.2023 მაგდა მეშვილდიშვილი

- **საქმიანი ჯგუფი სქ** (საოფისე ფართები +3.10 ნიშნულზე) - შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

- **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (ღია ავტოსადგომი ± 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 311.3 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომები.

- **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (დამხმარე-სამეურნეო სათავსები -3.20 ნიშნულზე) - შეესაბამება 312 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება დამხმარე დანიშნულების შენობები და ნაგებობები, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს).

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**

- საცხოვრებელი ბინებისთვის ---------- 18,6 მთლიანი;

- ოფისისთვის ----------9,3 მთლიანი;

- ავტოსადგომისთვის----------18,6 მთლიანი;

- დამხმარე-სამეურნეო სათავსებისათვის ---------- 27,9 მთლიანი.

- **ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.**

შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა სართულების, ასევე შენობის სიმაღლის განსასაზღვრად დადგინდა მიწის დონე. 202 ქვეთავის მიხედვით, მიწის დონე არის ათვლის დონე/სიბრტყე, რომელიც წარმოადგენს შენობის გარე კედლების მოსაზღვრე მიწის მოპირკეთებული ზედაპირის გასაშუალებულ დონეს. თუ მიწის მოპირკეთებული ზედაპირის დონე გარე კედლებიდან დამრეცად მიდის, ათვლის დონე უნდა განისაზღვროს შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით, თუ მიწის ნაკვეთის საზღვარი შენობიდან დაშორებულია 1,8 მ-ზე მეტად, შენობასა და შენობიდან 1,8 მმდე ფარგლებში მოქცეული ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით. შესაბამისად, შენობის სიმაღლე შეადგენს 25.50 მეტრს და მასში განთავსებულია 8 (რვა) მიწისზედა და 1 (ერთი) მიწისქვეშა სართული. სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ქვედა სართული ----------ჯგუფი დს (287.2 მ²)
- მიწის დონის ზედა მიწისპირა სართული ----------ჯგუფი სწ-2 (353.8 მ²);
- მიწის დონის ზედა I სართული ---------- ჯგუფი სც-2 (83.7 მ²); ჯგუფი სქ (203 მ²)

05.04.2023 მაგდა მეშვილდიშვილი

- მიწის დონის ზედა II - VI სართულები ----------ჯგუფი სც-2 (1861.8 მ²)
- მიწის დონის ზედა VII სართული ----------ჯგუფი სც-2 (140.7 მ²)

- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (I-B) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. I-A ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად.
- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრულია 721 ქვეთავის მიხედვით

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ----------2სთ.

გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2სთ.

იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ----------2სთ.

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ----------1სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- საპროექტო შენობაში მოწყობილია ღია ავტოსადგომი ±0.00 ნიშნულზე.
- აღნიშნული ავტოსადგომი კლასიფიცირებულია, როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების ავტოსადგომი, თანახმად 406.4 ქვეთავისა.
- ავტოსადგომი სივრცეები განთავსებულია იმავე მიწის ნაკვეთზე, სადაც ხდება მათი გამოყენება, რაც შეესაბამება 406.9.2.3 ქვეთავს.
- 406.5. ქვეთავის მიხედვით, ღია ავტოსადგომი გარაჟები უნდა იყოს I, II ან IV ტიპის კონსტრუქციისა. ბუნებრივი განიავების მიზნით, ნაგებობას ორ ან მეტ გარე მხარეს უნდა ჰქონდეს თანაბრად განაწილებული ღიობები. თითოეულ დონეზე გარე კედლების ღიობების ფართობი უნდა შეადგენდეს დონის მთელ პერიმეტრზე კედლის ფართობის, სულ მცირე, 20%-ს. ბუნებრივი განიავებისათვის განკუთვნილი ღიობების საერთო სიგრძე უნდა შეადგენდეს დონის პერიმეტრის, სულ მცირე, 40%-ს. შიგა კედლების, სულ მცირე, 20% უნდა იყოს გახსნილი, თანაბრად განაწილებული ღიობებით.
- 406.5.6 ქვეთავის მიხედვით, ღია ავტოსადგომის გარე კედლები და გარე კედლების ღიობები უნდა შეესაბამებოდეს 601-ე და 602-ე ცხრილებს. მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრისგან დაშორება გამოითვლება 602-ე ცხრილისა და 705-ე ქვეთავის შესაბამისად. აქვე გასათვალისწინებელია შემდეგი ფარემოებები: 1) 602 ცხრილის **დ.** სქოლიოს მიხედვით, 406-ე ქვეთავის შესაბამის ღია ავტოსადგომ გარაჟებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი; 2) 705.8 ცხრილის **ზ** სქოლიოს მიხედვით, ღია ავტოსადგომ ნაგებობაში, რომლის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 3,0 მ-ს აღემატება, ღიობების ფართობი არ უნდა შეიზღუდოს.
- საპროექტო ავტოსადგომი აკმაყოფილებს ზემოთჩამოთვლილ პირობებს. მისი ძირითადი კონსტრუქცია I ტიპისაა, იგი ოთხი მხრიდან ღიაა, შიდა ტიხრების გარეშე.
- ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ფართობებზე იატაკის დონიდან თავისუფალი სიმაღლე არ არის 2.15 მ-ზე ნაკლები, შემოზღუდული ავტოსადგომის სიმაღლე კოჭამდე შეადგენს 2.60 მეტრს, ხოლო სართულის სიმაღლე განსაზღვრულია 2.95 მეტრით, რაც აკმაყოფილებს 406.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- შემოზღუდულ ავტოსადომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.4.3.1 და 406.9.4.3.2 ცხრილების მოთხოვნებს, კერძოდ თითოეული სტანდარტული ავტოსადგომის სიგანე უტოლდება 2.5/2.4 მეტრს, ხოლო სიგრძე 5.5 მეტრს.
- საავტომობილო გზის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს და განსაზღვრულია სულ მცირე 3.5 მეტრის სახით.
- საავტომობილო გზის მოხვევის რადიუსები აკმაყოფილებს 406.9.4.2-ე ქვეთავის მოთხოვნას და უტოლდება 3.5 მეტრს.
- ავტოსადგომზე თითოეული ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს და შეადგენს სულ მცირე 6 მეტრს.
- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 პუნქტისა.
- ავტოსადგომთან მოწყობილია ცალმხრივი შესასვლელ/გასასვლელიანი საავტომობილო გზა, რაც დასაშვებია 406.9.4.7 ქვეთავის გამონაკლისით, ვინაიდან ავტოსადგომი ორმოცდაათზე ნაკლებადგილიანია.
- ავტოსადგომის თითოეულ დონეზე შშმ პირთათვის გათვალისწინებული ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს“.

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად. რაც შეეხება ნაშვერების 1406 ქვეთავთან შესაბამისობის საკითხს, აივნები დამზადებული არ არის წვადი მასალებისაგან, შესაბამისად, აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნები ასეთ დეტალებზე არ ვრცელდება.
- გარე კედლებში არსებული ღიობები შვეულად გამიჯნულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, შვეული გამიჯვნა უზრუნველყოფილია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის 90 სმ-ზე მეტი სიმაღლის გარე კედლებით და 76 სმ-ზე მეტი, 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კონსოლური ნაშვერებით.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობას გააჩნია პარაპეტი, რომლის სიმაღლე უტოლდება 0.8 მეტრს (შესაბამისად, 0.76 მეტრზე მეტია) და რომლის ცეცხლმედეგობაც უტოლდება მისი საყრდენი გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს, რაც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავის მოთხოვნას.
- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.
- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.
- აღსანიშნავია, რომ ვინაიდან გარე კედლები აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შახტების და გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილია, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს გარე კედლებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები აღარ გამოიყენება, თანახმად 707.4 ქვეთავისა.
- ღიობების საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-მდე არ იზღუდება, ვინაიდან ღიობის დამცავი ცეცხლმედეგი კარია, რომელიც შიგა გასასვლელის გზა-კიბის შემომზღუდავებს ემსახურება, თანახმად 707.6 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა.
- საცხოვრებელი ერთეულების გამმიჯნავი კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რაც შეესაბამება 708.1 და 420.2 ქვეთავების მოთხოვნებს. ასეთი ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს, თანახმად 708.3 ქვეთავისა.
- საცხოვრებელი ერთეულების მომსახურე დერეფნის კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს, რაც აღემატება 708.1 ქვეთავის და 1018.1 ცხრილის მოთხოვნას.
- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- თანახმად 903.2.8 ქვეთავისა, საშხეფი სისტემის ვალდებულებისაგან თავისუფალია სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი შენობა, რომლის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მეტზე ზემოთ. შესაბამისად, საპროექტო შენობაში განთავსებული სც-2 ჯგუფი არაა აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით.
- ასევე, სახანძრო დანაყოფის ავტომობილის მისადგომიდან 16,8 მ-ზე ან 16,8 მ-ზე მაღლა იატაკის დონის დაკავებულობის დატვირთვა არ უტოლდება 30-ს, შესაბამისად ავტოსაშხეფი არც 903.2.11.3 პუნქტის მიხედვითაა სავალდებულო.
- სქ ჯგუფის აღჭურვა საშხეფი სისტემით არაა სავალდებულო 903 ქვეთავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- ღია ავტოსადგომი გარაჟების აღჭურვა საშხეფი სისტემით არაა სავალდებულო 903 ქვეთავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- დს ჯგუფის აღჭურვა საშხეფი სისტემით არაა სავალდებულო 903 ქვეთავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

- **სახანძრო მილდგარების სისტემა:**

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.
- თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

თანახმად 905.4 ქვეთავისა:

- გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, I კლასის მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების საზღვრებში, შუალედურ დონეზე არსებულ ბაქნებზე.
- მისაერთებელი უნდა განთავსდეს გზა-კიბის ყველაზე მაღალ ბაქანთან, რომელიც სახურავს უკავშირდება კიბით, რაც საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. I კლასის მილდგარი განთავსებულია სახურავის გასასვლელთან არსებულ ბაქანზე.
- გასათვალისწინებელია, რომ I კლასის სისტემის საშუალებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფები 77 მმ სახანძრო სახელოს უერთებენ ქანჩს. ეს სისტემა განკუთვნილია მათთვის, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს.

თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- I კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია. II კლასის სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების სართულებზე, საერთო სარგებლობის დერეფნის საზღვრებში და შემოზღუდული ავტოსადგომის ფართობზე.

თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- I კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია. II კლასის სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების სართულებზე.

- ხელის ცეცხლმაქრები:

  - ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია სც-2, სქ, დს და სწ-2ჯგუფის დაკავებულობებში, რაც შეესაბამება 906 ქვეთავის მოთხოვნას.

- სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- 907.2.2 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა უნდა მოეწყოს სქ ჯგუფის დაკავებულობებში, სადაც შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს აკმაყოფილებს:

  1. სქ ჯგუფის ყველა იატაკის დაკავებულობის საერთო დატვირთვა შეადგენს 500 კაცს ან მეტს;

  2. სქ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა 100 ადამიანზე მეტია შენობიდან გამოსასვლელის ყველაზე დაბალი დონის ზემოთ ან ქვემოთ;

  3. ცეცხლისგან დაცული ფართობი მოიცავს მოვლა-მზრუნველობის ამბულატორიულ დაწესებულებას.

  არცერთი ზემოთჩამოთვლილი მდგომარეობა საპროექტო შენობაში არ გვხვდება, შესაბამისად, სქ ჯგუფი არაა აღჭურვილი სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით.

- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას, დაყენებულია სც-2 ჯგუფისთვის, 907.2.9.1 ქვეთავის მოთხოვნების გათვალისწინებით. ასეთი კოლოფები განთავსებულია სც-2 ჯგუფის სართულების მომსახურე გასასვლელიდან 1,5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არაა საჭირო 60 მეტრზე მეტი მანძილის გავლა, რაც შეესაბამება 907.4.2.1 ქვეთავს. საერთო გამოყენების ფართობზე, სც-2 ჯგუფისათვის განკუთვნილ დერეფნებში, დამკავებელთა შეტყობინების სისტემასთან ერთად მოწყობილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას. ასევე სც-2 ჯგუფის საძინებლებში და საძინებლების შესასვლელებთან განთავსებულია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.2.11.2 ქვეთავის მოთხოვნას.

05.04.2023 მაგდა მეშვილდიშვილი

- -3.20 ნიშნულზე და მიწის დონის ზედა სართულებზე ლიფტის შახტის შესასვლელებთან, მოწყობილია კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რომლითაც (სახანძრო განგაშის სისტემასთან ერთად) უნდა გააქტიურდეს ლიფტის დაწნევის სისტემა, რაც შეესაბამება 909.21.6 ქვეთავის მოთხოვნას.

გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- იმის გათვალისწინებით, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სც-2 ჯგუფად კლასიფიცირებული სართულები განლაგებულია მიწის დონის ზედა II – VII სართულებზე, ამასთანავე საპროექტო შენობა არ განეკუთვნება მაღლივს, თითოეული სც-2 ჯგუფის შემცველი სართულის იატაკის მთლიანი ფართობი 400 კვ.მ.-ზე ნაკლებია, თითოეულ სართულზე 4 საცხოვრებელი ერთეულია და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 38 მეტრს, თანახმად 1021.2(1) ცხრილისა, დასაშვებია მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის სც-2 ჯგუფის თითოეულ სართულს ემსახურებოდეს ერთი გასასვლელი.
- რაც შეეხება სწ-2,დს და სქ ჯგუფებს, ასეთი დაკავებულობის ჯგუფების შემცველი სართულები აკმაყოფილებს 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნას. სწ-2 ჯგუფის ფართობი პრაქტიკულად ღია სივრცეს წარმოადგენს, ხოლო დს და სქ ჯგუფის დაკავებულობებს ს ემსახურება 1 გასასვლელი გზა-კიბის სახით.
- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 ცხრილის მოთხოვნა, კერძოდ, სქ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა არ ცდება 29 დამკავებელს და უტოლდება 27-ს, დს ჯგუფის დაკავებულობა არ სცდება 49-ს და უტოლდება 11-ს, ხოლო სც-2 ჯგუფის თითოეული ცალკეული საცხოვრებელი ერთეულის დაკავებულობის დატვირთვა არ ცდება 10 დამკავებელს.
- გზა-კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრის სახით), რაც ასევე ნაკლებია 1007.3 ქვეთვით განსაზღვრულ მოთხოვნაზე, რომლის თანახმად მისაწვდომი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უნდა იყოს სულ მცირე 1.20 მეტრი. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1.20 მეტრს, ხოლო თავისუფალი სიგანე კედლიდან მოაჯირამდე განსაზღვრულია 1.35 მეტრის სახით.
- გასასვლელის გზა-კიბე პირდაპირ შენობის გარეთ გადის შენობიდან გამოსასვლელის დონეზე, რაც შეესაბამება 1027.1 ქვეთავს.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის
- გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია
- წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.84 მეტრია.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ

- სიგანეზე (1.20 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.5 მეტრს.
- პროექტში წარმოდგენილი გზა-კიბე წარმოადგენს მისაწვდომ გასასვლელ საშუალებებს.

1007.3 ქვეთავის მიხედვით,იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან.
1007.6 ქვეთავის მიხედვით, ყველა აუცილებელ თავშესაფრის ფართობს უნდა ჰქონდეს მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები იმ სივრციდან, რომელსაც ის ემსახურება. მაქსიმალური სავალი მანძილი ნებისმიერი მისადგომი სივრციდან თავშესაფრის ფართობამდე არ უნდა აღემატებოდეს 1016.1 ქვეთავში დაკავებულობისთვის განსაზღვრულ სავალ მანძილს. ყველა აუცილებელი თავშესაფრის ფართობი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს 1007.3 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილ გზა-კიბეს ან 1007.4 ქვეთავის შესაბამისად დაყენებულ ლიფტს. თუ თავშესაფრის ფართობად გამოყენებულია ლიფტის ფოიე, შახტი და ფოიე უნდა აკმაყოფილებდეს 1022.10 ქვეთავში კვამლგაუმტარი შემომზღუდავებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.
თითოეული თავშესაფრის ფართობი უნდა მოიცავდეს ერთი ეტლისათვის საჭირო სივრცეს, რომლის ზომებია 76 სმ × 1.2 მ, ყოველი 200 დამკავებლისათვის ან მათი ნაწილისათვის, თავშესაფრის ფართობისა და იმ ფართობების დაკავებულობის დატვირთვის გათვალისწინებით, რომელთაც ემსახურება თავშესაფრის ფართობი. ეტლისათვის საჭირო ასეთი სივრცეები არ უნდა 407 ამცირებდეს გასასვლელის აუცილებელ სიგანეს. თავშესაფრის ფართობზე ეტლისთვის საჭირო ნებისმიერ სივრცესთან მისაწვდომი არ უნდა ჩაიხერგოს ერთზე მეტი მომიჯნავე ეტლისთვის საჭირო სივრცით.

პროექტით 1007 ქვეთავის მოთხოვნები გათვალისწინებულია. ეტლისათვის საჭირო სივრცე შეესაბამება დამკავებელთა რაოდენობას. ლიფტის შახტის შემომზღუდავის ცეცხლმედეგობის ხარისხი არანაკლებ 2-საათიანია. თავშესაფრის ფართობი მდებარეობს გზა-კიბის შემომზღუდავში და სავალი მანძილი არ აღემატება 1016.1 ქვეთავში მოთხოვნილს.

- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია არანაკლებ 28 სმ-ით, ხოლო ამაღლება- არაუმეტეს 16 სმ-ით. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა. ასევე დაკმაყოფილებულია საფეხურების ნაშვერების ზომა და მათი ერთგვაროვნება, რაც განსაზღვრულია 2 სმ-ით, რაც შეესაბამება 1009.7.5.1 და 1009.7.5.2 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად, რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- ყველა იმ ფართში, სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასვლელის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობის სახურავზე მიდგომა ხორციელდება გზა-კიბის საშუალებით, თანახმად 1009.16 ქვეთავისა.

მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.
- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.
- საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომები უზრუნველყოფილია 1106.1 ცხრილის მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი სივრცეებით და მისაწვდომი სივრცეების რაოდენობა განსაზღვრულია თითოეული ავტოსადგომისათვის ცალ-ცალკე.
- მისაწვდომი შესასვლელიდან მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები მდებარეობს უმოკლეს მისაწვდომ სვლაგეზზე, რაც შეესაბამება 1106.6 ქვეთავის მოთხოვნას.
- საპროექტო შენობაში განთავსებულია 149 საცხოვრებელი ერთეული, შესაბამისად, მათი ორი პროცენტი უნდა წარმოადგენდენს „ა“ ტიპის ერთეულს, ხოლო ყველა დანარჩენილი - „ბ“ ტიპის ერთეულს. პროექტით გათვალისწინებულია 2 „ა“ ტიპის ერთეული, რაც შეესაბამება 1107.6.2.1.1 და 1107.6.2.1.2 ქვეთავების მოთხოვნებს. „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულები დაგეგმარებულია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად.
- საოფისე ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.
- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.
- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- თავშესაფრის ფართობთან მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც აკმაყოფილებს 1007.8 და 1007.6.3 ქვეთავების მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ გზა-კიბის საზღვრებში.
- თავშესაფრის ფართობთან გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“. ასეთი ნიშანი განათებულია. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.9 ქვეთავის მოთხოვნას.
- თავშესაფრის ფართობთან მოწყობილია ნიშანი, თავშესაფრის ფართობის გამოყენების წესების მითითებებით, რაც შეესაბამება 1007.11 ქვეთავს.

შიგა გარემოს შეფასება:

- საცხოვრებელი ბინების საცხოვრებელი ფართობები ნიავდება ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.
- ღია ავტოსადგომი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განიავებით.
- რაც შეეხება საცხოვრებელი ერთეულების აბაზანებისა და ტუალეტის ოთახებს, ასეთი სივრცეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- +3.10 ნიშნულზე განთავსებული საოფისე ფართობები ნიავდება მექანიკურად და ბუნებრივად. გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს; რაც შეეხება საოფისე სივრცის მომსახურე ტუალეტის ოთახს, იგი ნიავდება მექანიკურად. ყოველივე აღნიშნული შესაბამისობაშია 1203 ქვეთავთან.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, გზა-კიბის და ლიფტების მომსახურე ვესტიბიულში, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- საცხოვრებელი ერთეულების საცხოვრებელი ფართობები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით, რაც შეესაბამება 1205.1 ქვეთავს. შუქგამტარი სუფთა ფართობი არ არის ოთახის იატაკის ფართობის 8%-ზე ნაკლები. ასეთი გარე ღიობები გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში.
- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- საცხოვრებელი სივრცეების არცერთი ზომა გეგმაში არ არის 2.2 მ-ზე ნაკლები. სამზარეულოებს აქვთ 90 სმ-ზე მეტი სიგანის თავისუფალი გასავლელი, რაც შეესაბამება 1208.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- საცხოვრებელი სივრცეების არცერთი ზომა გეგმაში არ არის 2.2 მ-ზე ნაკლები. სამზარეულოებს აქვთ 90 სმ-ზე მეტი სიგანის თავისუფალი გასავლელი, რაც შეესაბამება 1208.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.
- ყველა საცხოვრებელ ერთეულს აქვს არანაკლებ, 14,0 კვ.მ. ფართობის ერთი ოთახი მაინც. სხვა საცხოვრებელი ოთახების იატაკის სუფთა ფართობი აღემატება 7,0 მ$_2$-ს, რაც შეესაბამება 1208.3 ქვეთავს.
- საპროექტო შენობაში განთავსებული კომპაქტური ხანგრძლივი საცხოვრებელი ერთეულები (სტუდიოები) აკმაყოფილებს 1208.4 ქვეთავის მოთხოვნას.

გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
- გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602 და 705.8.5 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით.
- რაც შეეხება ორთქლშემაკავებლებს, აღნიშნულის მოწყობა სავალდებულოა მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-4 (საზღვაო) კლიმატურ ზონებში. საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება სამი კლიმატური ზონა (1-ლი, მე-3, მე-7) და მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთის მაღალ მთიან რეგიონებშია სავალდებულოა შენობა-ნაგებობებში ორთქლშემაკავებლების მოწყობა. საპროექტო შენობაში ორთქლშემაკავებლების მოწყობა არაა სავალდებული, თანახმად 1405.3 ქვეთავისა.
- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოწყობილია გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, რაც აკმაყოფილებს 1405.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობის ფასადების ნაწილი მოპირკეთდება აგურის ფილებით. საფრების მინიმალური სისქე განსაზღვრულია 1405.2 ცხრილის მიხედვით (მისაწებებელი საფრის წყობა- მინიმუმ 6.4 მმ), რაც უზრუნველყოფს გარე კედლების ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დაცვას.

სახურავის ანაწყობების შეფასება:

- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე.
- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს მინ. 100 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

წყალსადენის სისტემის შეფასება:

- თითოეული ბინა უზრუნველყოფილია 1602.1 ცხრილის შესაბამისი მინიმალური ფიქსირებული წყალსადენი სისტემებით. თითოეულ ბინაში განთავსებულია უნიტაზი, ხელსაბანი, აბაზანა, სამზარეულოს ნიჟარა და სარეცხის მანქანა.
- რაც შეეხება სქ ჯგუფის დაკავებულობებს, ისინი ასევე უზრუნველყოფილია 1602.1 ცხრილის შესაბამისი მინიმალური ფიქსირებული წყალსადენი სისტემებით.
- სქ ჯგუფის დამკავებელთა რაოდენობა უტოლდება 22 დამკავებელს. 1602.1 ცხრილის თანახმად, თითოეული სქესისათვის სავალდებულოა 1 უნიტაზის და 1 ხელსაბანის მოწყობა; ასევე 1 ცალი სამომსახურეო ნიჟარის განთავსება. ვინაიდან სქ ჯგუფის ფართობები პროექტში გადანაწილებულია იმგვარად, რომ მიღებულია 4 ინდივიდუალური საოფისე სივრცე, სადაც მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვა 8-ს არ აღემატება, თითო საოფისე სივრცეში გათვალისწინებულია თითო ტუალეტის ოთახი, რომელიც, ამავდროულად, შშმ პირთათვის გათვლილია. ასევე თითო საოფისე ფართი უზრუნველყოფილია 1 ცალი სამომსახურეო ნიჟარით. 1602.2 ქვეთავის მიხედვით, თითოეული სქესისათვის ცალ-ცალკე მოწყობილობები სავალდებულო არაა, რადგან დაკავებულობის დატვირთვა თითო სივრცეში 15-ს არ აღემატება.
